თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1233339

ნომერი: AR1212431

თარიღი : 16.04.2014

გაცემის თარიღი : 23.04.2014

გაცნობის თარიღი : 23.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ახვლედიანი , მარჯვენა მხარეს , (ნაკვეთი 02/006) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო პატარაია პ/ნ 01009021020
- თბილისი, ბ. ჟღენტის 29, ბინა 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- ლანდშაფტური მშენებლობა
  კორექტირება
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე არსებული ტერიტორიის მოწორების, ასფალტის საფარის დაგების, ღობის მშენებლობის, მასში კარის ღიობების მოწყობის და I კლასის შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი– სამგორი, ახვლედიანის ქუჩა, მარჯვენა მხარეს (ნაკვ. #02/006), შპს "ათენკ"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ტერიტორიის მოწორების, ასფალტის საფარის დაგების, ღობის მშენებლობის, მასში კარის ღიობების მოწყობის და I კლასის შენობა–ნაგებობის მშენებლობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური".

,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.19.16.002.006; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები: 04/10/2014წ. N1213202 გადაწყვეტილება ) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ახვლედიანის ქუჩა, მარჯვენა მხარეს (ნაკვ. #02/006), შპს "ათენკ"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ტერიტორიის მოწორების, ასფალტის საფარის დაგების, ღობის მშენებლობის, მასში კარის ღიობების მოწყობის და I კლასის შენობა–ნაგებობის მშენებლობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს შპს "ათენკ"–ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ამასთან, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

•სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

•საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.


თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge